ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 4

ქ. ონი 10. 04. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ნინო გობეჯიშვილი, მერაბ ბიჭაშვილი, ბესიკი მაისურაძე, ნონა მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ბერელიძე, ნოდარ ბურდილაძე, თამაზ მეტრეველი, გიორგი მეშვილდიშვილი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

3. 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

4.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიცუბიში ,,DELIGA”-ს ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

5. ,,ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების : ავტოგრეიდერის ,,Liu-gong-418lll”და მიცუბიში ,,DELIKA”-ს შ.პ.ს. ,,მოედანი 2009“-თვის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 ოქტომბრის #84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

6. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ავტოგრეიდერი ,,Liu-Gong-418 III შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 3. 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი 2023 წლის ონის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოთქმულა. კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 4.ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიცუბიში ,,DELIGA"-ს ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი .ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების მიცუბიში ,,DELIGA"-ს ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

კომისიის წევრების მიერ შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოთქმულა. კომისიამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების : ავტოგრეიდერის ,,Liu-gong-418lll"და მიცუბიში ,,DELIKA"-ს შ.პ.ს. ,,მოედანი 2009"-თვის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ" ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 ოქტომბრის #84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

ლ. ორდინიძემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის სახელზე რიცხული დამატებითი ქონების : ავტოგრეიდერის ,,Liu-gong-418lll"და მიცუბიში ,,DELIKA"-ს შ.პ.ს. ,,მოედანი 2009"-თვის თხოვების ფორმით

გადაცემის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 ოქტომბრის #84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ავტოგრეიდერი ,,Liu-Gong-418 III შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ორდინიძე/

ლ. ორდინიძემ სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ავტოგრეიდერი ,,Liu-Gong-418 III შპს ,,ონის სერვის ჯგუფისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე